განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის/ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური
წევრი: თინათინ ალავიძე

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

■ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

■ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208217375

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	იპოლიტოვ-ივანოვის ქ. 10

საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.aia-gess.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@aia-gess.ge; aia-gess11@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**511225252**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 24 0000743916 25/06/2024 ; ცვლილება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2024 წლის 12 ივლისი

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქ. თბილისი, მარსელის ქ.N2 ნაგებობა N1
საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქ. თბილისი, მარსელის ქ.N2 ნაგებობა N1

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 12 ივლისს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის /ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით ,რომელთაგან ერთი

თავმჯდომარეობდა ჯგუფს. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლის მასწავლებლებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესს , ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 30 ნოემბრის #1525057 სხდომის ოქმის შესაბამისად მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 750 მოსწავლით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხება 748 მოსწავლე. 2023-2024 სასწავლო წლისათვის შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში სწავლის მსურველ მოსწავლეთა (იგულისხმება როგორც პირველ კლასში სწავლის მსურველები, ასევე სხვადასხვა კლასებში სწავლის გაგრძელების მსურველი მოსწავლეები) მიმართვიანობა მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში არის ორი შენობა ნაგებობა, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები და მიმდინარეობს სრულფასოვანი სასწავლო/სააღმზრდელო პროცესი, სკოლაში სხვადსხვა კლასში სწავლის გაგრძელების მსურველ მოსწავლეთა მიღება ვერ ხერხდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსმა დაიმატა კიდევ ერთი შენობა ნაგებობა (ს/კ #01.11.05.029.249). შესაბამისად სკოლას აქვს სურვილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა გაზარდოს 130 მოსწავლით.

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის ინფრასტრუქტურა, მატერიალური და ადამიანური რესურსი, საშუალებას იძლევა შექმნას სკოლის მისიის შესაბამისი, ხარისხიანი სასწავლო - სააღმზრდელო გარემო 880 მოსწავლისათვის.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
750	**748**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

<u>გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</u>

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესს წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში. მათ შორის არის: გაეროს მიერ ორგანიზებული პროექტი ,,გაერო და საქართველო„ IX კლასი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მასწავლებელთა კონფერენცია, სკოლის მიერ წარდგენილი პროექტი ,,დედამიწა – მზის სისტემის გულია“; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო პროექტი ,,The Words Largest Lesson”- სკოლის მიერ წარდგენილი პროექტი ,,მსოფლიოს 17 გლობალური პრობლემა“ (ინგლისურ ენაზე); არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ეკოხედვის“ მიერ ორგანიზებული პროექტი ,,ეკოვიზია“ XI კლასი; საგანმნათლებლო ორგანიზაცია ,,ნიუ–პრაიმის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,მათემატიკური ჭიდილი“ (VII კლასმა მოიპოვა ოქროს თასი); საერთაშორისო პროექტებიდან აღასანიშნავია: ნატოს და ევროკავშირის ინტეგრაციის ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტი ,,მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ“ სკოლის მიერ წარდგენილი პროექტი ,, საქართველო და ევროკავშირი ბუნების სადარაჯოზე“; საერთაშორისო საბუნებისმეტყველო კონფერენცია ICYS - თურქეთი; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო პროექტი ,,e-TWINNING“; ,,გაეროს მოდელირება“ ნიუიორკი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდა გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი ,,ლეონარდო და ვინჩი“; ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და ამიერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებული პროექტი ,,ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“ და სხვა.

ასევე აღსანიშნავია, რომ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს 16 არჩევით კლუბსა და 3 წრეს. არაფორმალური განათლების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს მრავალ მიმართულებას, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს

ინტერესის მიხედვით ჩაერთონ საკლუბო და საწრეო მუშაობაში. აქვე უნდა აღინიშნოს,რომ სკოლის მოსწავლეთა გუნდი უკვე ხუთჯერ იმყოფებოდა ვიზიტით NASA-ში.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

*ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დასკვნის პროექტის პასუხი, შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გაწერილი და დანართების სახით წარმოდგენილი მტკიცებულებები. სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად დასკვნის პროექტში დახარვეზებული **<u>ინდიკატორი 3.1.2.1; ინდიკატორი 3.4.1.1; ინდიკატორი 3.6.2.2 და ინდიკატორი 3.6.3.5</u>** დასკვნაში შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი, ხოლო ინდიკატორი **<u>3.1.2.4.</u>** შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.*
***<u>სტანდარტი 3</u>** (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), რომელიც პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“ , დასკვნაში შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.*

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა
რაოდენობა:
880</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
■</td><td>აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება
□</td><td></td></tr>
</table>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 27/12/2024-მდე , დაასაქმოს მუსიკისა და სპორტის მასწავლებლები მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად .

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სასურველია სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები გადამზადდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანების №65/ნ ,,სკოლის დირექტორის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესის“ შესაბამისად.

3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	❖ **სასურველია სკოლამ** მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე დაასაქმოს მეორე ექიმი ან ექთანი. ❖ **სასურველია სკოლამ** სამედიცინო მომსახურების გაწევისა და სააღრიცხვო ფორმების წარმოებისას იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად.
3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	**სასურველია სკოლამ** პასუხისმგებელი პირის მეშვეობით განახორციელოს სკოლაში უცხო პირთა / ვიზიტორთა რეგისტრაცია.
3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	**სასურველია სკოლამ** გაითვალისწინოს საქმისწარმოების ერთიანი წესის მოთხოვნები, კერძოდ სკოლის მიერ გამოცემულ ყველა დოკუმენტაციაზე იკითხებოდეს: მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა, მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის/ების გვარი, სახელი და ხელმოწერა.
3.6.2.3	სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;	**სასურველია სკოლამ** მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool)-ის საინფორმაციო ბარათში შეიტანოს საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა დაზუსტებული რაოდენობრივი მონაცემები, ასევე

		განაახლოს სკოლის შენობების რაოდენობები, მისამართები და ატვირთოს შენობების ნახაზები.
3.6.3.3	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**სასურველია სკოლამ** აწარმოოს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვების/ კვლევების დოკუმენტირება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აი–ჯესსის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია დებულება, რომლის II თავში აღწერილია სკოლის სტრუქტურა და მართვა. სკოლის მართვის ორგანოებია: სკოლის დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭო, დირექცია და პედაგოგიური საბჭო. სკოლის სტრუქტურა მოიცავს:

სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე (2), ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროგრამების კოორდინატორი);
სკოლის სამეურნეო სამსახურს (სამეურნეო ნაწილის გამგე, სკოლის ექიმი, დარაჯი, მებაღე, დამლაგებელი);
სკოლის საინფორმაციო სამსახურს (საინფორმაციო მენეჯერი, პიარმენეჯერი, კომუნიკაციების მენეჯერი, IT სპეციალისტი);
სკოლის კათედრებს - დეპარტამენტებს (დაწყებითი კლასების (I–IV კლასების), ჰუმანიტარული საგნების, სტემის საგნების, უცხოური ენების.);
სკოლის ადმინისტრაციას (ბუღალტერი-2, ფსიქოლოგი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, იურისტი, ადმინისტრატორი).

ცვლილებას სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში ახორციელებენ სკოლის დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭოს წევრები. სკოლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს დებულებებითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობის პირობები, შვებულების მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის და საბოლოო ანგარიშწორება, წახალისების ფორმები, დისციპლინურ წარმოება და შრომითი პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ინსტრუქციები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის მიზნებისა და ძირითადი საქმიანობის შესრულებას უკავშირდება. ყველა სტრუქტურული რგოლი მაქსიმალურადაა ჩართული სკოლის მიზნებისა და გეგმის განხორციელებაში. სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების ამდაგვარი გადანაწილება ხელს უწყობს თითოეული რგოლის

აქტიურ ჩართულობას, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის წესდება
2. სკოლის დებულება
3. სკოლის შინაგანაწესი
4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
5. სკოლის სტრუქტურა.
6. კათედრების დებულება
7. საქმისწარმოების დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის ადამიანური რესურსების მართვის დებულება წარმოადგენს თანმიმდევრულ სახელმძღვანელო მითითებებს და აცხადებს სკოლის პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან მიმართებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პოლიტიკებს და ეფუძნება დაწესებულების მისიას, ღირებულებებსა და მიზნებს.

პოლიტიკის ამოცანებია:

- სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;
- დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;
- დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შინაგანაწესი თანაბრად ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე, მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე. სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. თუმცა მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ არის შესაბამისი სტატუსების მიხედვით. კერძოდ: უფროს, წამყვან და მენტორ მასწავლებლებს გაფორმებული აქვთ მასწავლებლობის მაძიებლის ხელშეკრულება და ვალდებულებაშიც მაძიებლისთვის დაკისრებული საქმიანობები აქვს მითითებული. არ არის გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174 ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნები.

სკოლამ დასკვნის პროექტის პასუხად წარმოადგინა ხელახლა გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174 ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნები. ხარვეზი აღმოფხვრილია. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას, გაზიარებულ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას, სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: სამართლიანობა და გამჭვირვალობა, აკადემიური თავისუფლება, თანასწორობა, ნების თავისუფალი გამოვლენა, ურთიერთმხარდაჭერა, კორექტული კომუნიკაცია, პერსონალის ინტერესების გათვალისწინება, პროფესიული განვითარება, პატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გუნდურობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები გაწერილია შინაგანაწესის მე-7 მუხლში, სკოლის დებულების მე-16 და მე-17 მუხლებში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-12 მუხლში. შიდა და ღია კონკურსი ცხადდება სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლის მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას- სოციალური ქსელის შიდა ჯგუფში. კონკურსის ეტაპებია: 1.კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა; 2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება; 3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა. ამავე დოკუმენტშია გაწერილი კანდიდატისადმი დადგენილი სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ჩატარებული კონკურსის გადამოწმებული დოკუმენტაციით შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა თანამშრომელთა შერჩევის პროცესს ახორციელებს გამჭვირვალედ და სამართლიანად, ყველა არსებული პროცედურის დაცვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მასწავლებელთა პირადი საქმეები. პედაგოგიური პერსონალის განათლება და კვალიფიკაცია. 2020 წლის შემდეგ მიღებულ მასწავლებლების პირად საქმეში არ დევს ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. ყველა დანარჩენი მოთხოვნილი დოკუმენტი წარმოდგენილი აქვთ. სკოლაში დასაქმებულია 68 მასწავლებელი. აქედან 1 მენტორი, 4 წამყვანი, 47 უფროსი, 4 მასწავლებლობის მაძიებელი და 12 უსტატუსო მასწავლებელი. სკოლას ჰყავს 3 პროფესიული განათლებით დასაქმებული მუსიკისა და სპორტის მასწავლებელი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-5 მუხლის მიხედვით, კანდიდატისადმი დადგენილი სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნაა საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს: სრული ზოგადი განათლება; შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლება ანდა სასპორტო პროფესიული განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი ამ თანამშრომელთა მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შესახებ. აღნიშნული მასწავლებლები მუშაობენ სრული დატვირთვით და არ არიან მასწავლებლის მაძიებლის პროგრამაში ჩართულები. შესაბამისად არ არის გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 თავის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. სკოლის სხვა პერსონალის განათლება და კვალიფიკაცია შესაბამისობაშია არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. მაგ. სკოლას ჰყავს შესაბამისი სერთიფიკატის და კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

სკოლამ დასკვნის პროექტის პასუხად გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და წარმოადგინა ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ. ხარვეზი აღმოფხვრილია.

სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის ერთწლიანი გეგმა, რომლის თანახმად 27/12/2024-მდე პერიოდში დაასაქმებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად მასწავლებლებს. ამავდროულად წარმოდგენილია გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ მტკიცებულებები. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის თანამშრომლობითი კულტურა იძლევა შესაძლებლობას სკოლის თითოეული რგოლი აქტიურად იყოს ჩართული საგანმნათლებლო/სააღმზრდელო პროცესში. სკოლაში მასწავლებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე ტარდება სამუშაო შეხვედრები. წამყვანი და მენტორი მასწავლებლები ხშირად უზიარებენ კოლეგებს თავიანთ გამოცდილებას. უფროსი მასწავლებლები კათედრის შეხვედრებზე წარადგენენ საკუთარი გამოცდილებიდან მნიშვნელოვან და საჭირო დეტალებს. სკოლაში ყოველ წელს ხორციელდება ესგ-ს მიხედვით გაწერილი სასკოლო პროექტები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა თავისი წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ორგანიზებულ საგანმანათლებლო აქტივობებში, კონფერენციებსა თუ ტრენინგებში. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. (მაგალითად: სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განათლების კვლევითი ცენტრ SALiS ლაბორატორიასთან. სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები მონაწილეობდნენ ევროკომისიის მე-7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში: PROFILES, Chain Reaction, „STEAM ინოვატორ მასწავლებელთა კონკურსი“, სკოლა ასევე წლებია თანამშრომლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტთან. მონაწილეობენ "ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -ს მიერ დაგეგმილ კონკურსებში და ხშირ შემთხვევაში იმარჯვებენ. სკოლის პედაგოგები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. (მაგალითად: English Language Teaching and assessmnet Comference 2023 ორგანიზატორი - ბრიტანული საბჭო: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ინოვაციები STEAM განათლებაში; ასოციაცი-ბიო „საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია სასკოლო და საუნივერსიტეტო ჭრილში“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - „SCIENCE ON STAGE“- მესამე ეროვნული ფესტივალი და სხვა.) სკოლა მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს მოსწავლეთა კლუბების მუშაობას. პროექტები, რომელშიც ჩართულია სკოლა ემსახურება მასწავლებლების პროფესიულ ზრდას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;
2. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის შინაგანაწესი;
3. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
4. რესურსების პროფესიული განვითარების პროგრამა;
5. კათედრების დებულება;
6. მასწავლებელთა პირადი საქმეები;

7. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
8. ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა.
9. სკოლის ვებგვერდი: www. aia-gess.ge;
10. ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/britanulespanuriskola.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილია სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში. ამ დოკუმენტების მიხედვით სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც

უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა, აქტიური მონაწილეობის წახალისება, გამოცდილებაზე დაყრდნობა, კოლაბორაციული კვლევა-ძიება. შეფასების მეთოდებად სკოლა იყენებს 360 გრადუსიან შეფასებას, შეფასებას უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასებას, გასაუბრებას. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-8 მუხლის მიხედვით, შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის, შესაბამისად შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სკოლის ხარისხის ჯგუფი:

- ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;
- ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას;
- მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე;
- საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს;
- მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს;
- პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. გაკვეთილის შეფასების მიზნით, ხარისხის ჯგუფი მასწავლებლებს ესწრება სემესტრში მინიმუმ ერთჯერ.
ხარისხის ჯგუფი მასწავლებელს აკვირდება მის მიერ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად. გაკვეთილზე დაკვირვება შესაძლებელია განხორციელდეს პირდაპირი ფორმით - დასწრებით, ან დისტანციურად. ხარისხის ჯგუფი მასწავლებელთან ერთად განიხილავს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებს და გონივრულ ვადაში აძლევს მას განმავითარებელ შეფასებას. ხარისხის ჯგუფი გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს:

- მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასებას;
- მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შეფასებას და აძლევს უკუკავშირს.

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია – ჯესს-ის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის 2023-2024 სასწავლო წლის სამუშაო გეგმაში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების სტარტეგიები, რაც მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
მონიტორინგისა და შეფასების მეთოდების შერჩევა/ ორგანიზება/ განხორციელება;

მასწავლებლის შეფასების ჯგუფის საქმიანობაზე დაკვირვების ფორმების შემუშავება/განხორციელება;
მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება/ანალიზი;
საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებთან და ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების ორგანიზება;
საჭიროების შემთხვევაში გამოკითხვის და ანკეტირების ჩატარება;
მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მუშაობის და მიღწეული შედეგების კრიტიკულ-კონსტრუქციული ანალიზის გაკეთება. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები.

მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის:

- თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება;
- სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება;
- მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ

2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში ჩატარდა კვლევები: ხარისხის მართვის მენეჯერის კვლევა - „ელექტრონული რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში“; სკოლის ფსიქოლოგის კვლევა - „კორელაცია თვითშეფასებასა და აკადემიური მოსწრების დონეს შორის“ და ქართულის პედაგოგის კვლევა „ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლების პრობლემა“. სკოლაში შექმნილი პროფესიული განვითარებისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრების მიერ საგაკვეთილო პროცესში ხდება, როგორც სრულ პროცესზე, ასევე ფოკუსირებული დაკვირვება. მასწავლებლის რეფლექსიის და დაკვირვების საფუძველზე ხორციელდება საჭიროებების იდენტიფიცირება და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება. სკოლა მუდმივად ზრუნავს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე: ბოლო სამი წლის მანძილზე სკოლის პედაგოგებს გავლილი აქვთ მნიშვნელოვანი ტრენინგები. (მაგალითად: Teaching Global Skills Through English და Changing The World Frpm Our Classroom– ორგანიზატორი English Book Education; მაკმილანის როგორ ვასწავლოთ საერთაშორისო კურიკულუმით Max Maths – english book education; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგები: კიბერუსაფრთხოება; ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწ. პროცესში; მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები; სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა; ავთენტური მასალა რუსულის, როგორც უცხოური ენის გაკვეთილზე; ონლაინ - ინსტრუმენტების გამოყენება რუსული ენის გაკვეთილზე; ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა; ,,გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში"; „ ენობრივი ბარიერის გადალახვა ვირტუალურ სასწავლო გარემოში“; Stem პროექტების მოდელირება და კონსტრუირება; ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში''. ,,გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში" - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას. სკოლას აქვს პროფესიული საჭიროების დადგენის მექანიზმები და გამოვლენილი საჭიროების საფუძველზე შემუშვებული გეგმა. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის ფარგლებში სკოლას სტატუსის მისანიჭებლად წარდგენილი ჰყავს 3 მასწავლებლობის მაძიებელი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ორგანიზაციაში შემოსვლა (მუხლი 18), რაც თავის თავში აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს. სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ადაპტაციის ეტაპებია:
მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ;
შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი;
„ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში გაწერილია წარმატებულ თანამშრომელთა მატერიალური და არამატერიალური სტიმულირების მექანიზმები. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. მაგ. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეთა საზეიმო მიღებაზე, განსაკუთრებული დამსახურებისთვის სკოლა აჯილდოებს რამდენიმე მასწავლებელს ფასიანი საჩუქრით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა.
2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
3. შინაგანაწესი
4. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია – ჯესსის ძირითადი დანიშნულებაა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად, სკოლის მისიიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმითა და სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მოსწავლეთათვის მაღალხარისხიანი განათლებისა და სააღმზრდელო მომსახურების შეთავაზება.

სკოლის სასწავლო, სააღმზრდელო და მმართველობითი საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

• სწავლა – სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა
• სწავლის, კვლევების, ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ ინტერესის გაღვივება, შემოქმედებითი
აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.
• უსაფრთხო და მრავალფეროვანი, კეთილმოწყობილი გარემოს ფორმირება.
• სკოლასა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება.
• უწყვეტი პროფესიული განვითარება.
• ენების სრულყოფილად შესწავლის მიზნით გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფა მოსწავლეებისა
და მასწავლებლებისათვის
• სასკოლო, საქალაქო, ქვეყნის თუ საერთაშორისო კონკურსებში მოსწავლეთა ჩართვა.
• საერთაშორისო კონკურსების დაგეგმვა და განხორციელება.
• მდგარადი განვითარების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.
• STEM მიმართულების გაძლიერება

სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელება მიზნად ისახავს ისეთი პროექტების შემუშავებასა და რეალიზებას, რომლებიც სკოლის სასწავლო, სააღმზრდელო და მმართველობითი საქმიანობის ძირითადი მიზნების მიღწევას ემსახურება.

გრძელვადიანი ამოცანები ხორციელდება სკოლის საქმიანობის შემდეგ მიმართულებებში:

- სასწავლო – სააღმზრდელო პროცესის სტიმულირება / სრულყოფა;
- სკოლის განვითარების მიზნით ალუმნების საქმიანობის პოპულარიზაცია/ პროექტების დაგგმვა/განხორციელება;
- სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, ჩამოყალიბებულია მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების აღმწერები. სკოლა უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების საჭიროებების განსაზღვრას, შიდა სტანდარტების შემუშავება/დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას. ეს კი თავის მხრივ ითვალისწინებს სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, საბიბლიოთეკო რესურსების, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკის წესების ჩამოყალიბებას. ადამიანური რესურსების ნაწილში პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის შერჩევის ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავებას. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას. ასევე, შეფასების შედეგების გამოყენებას პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების მხარდამჭერი სერვისების და რესურსების ფართო სპექტრის შემუშავებას, დანერგვას და მუდმივ გაუმჯობესებას. აღნიშნული ითვალისწინებს, როგორც მატერიალურ რესურსებს (ბიბლიოთეკა, სასაწავლო რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა), ასევე, ადამიანურ მხარდაჭერას (მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით კლუბების, საერთაშორისო პროექტების, აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების უზრუნველყოფა, ფსიქოლოგიური დახმარებას) სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას. შეფასება გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, აკადემიური მოსწრების ანალიზს, პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის მიერ გასაჩივრების მექანიზმები გაწერილია სკოლის დებულების მე-4 თავში და შინაგანაწესში. სკოლაში დავების განხილვა ხდება სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია გასაჩივრების პროცესის ობიექტურობის, გამჭვირვალეობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვის პროცედურები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ცხელი ხაზის და სამინისტროს ნომრები, უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის

სამსახურებრივი ნომერი; სკოლის ფსიქოლოგის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერი; საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. სკოლა უზრუნველყოფს ყოველი სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით, მიაწოდოს ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის, უსაფრთხოების და კანონიერი უფლება/მოვალეობების შესახებ (კლასის საათი. მშობელთა კრებები, მასწავლებელა შეხვედრები – თათბირები, კათედრების შეხვედრები. სკოლის ფეიზბუქგვერდი და ვებგვერდი. კლასის დამრიგებელთა ფეისბუქ ჯგუფები და სხვა). სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზებით. მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხორციელდება მისი ვიზუალიზაციით, შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. გაცნობის ღონისძიებები პოზიტიური ხასიათისაა, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის, მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტურ მუშაობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შპს. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
2. შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის შინაგანაწესი
3. სკოლის ვებგვერდი: www.aia-gess.ge
4. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
5. შრომის უსაფრთხოების მართვა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საჯაროობის მიზნით, სკოლა იყენებს: edu page – პლათფორმაზე დაფუძნებულ სკოლის მენეჯმენტის სისტემას, რომელთანაც წვდომა აქვს სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს. მისი საშუალებით უზრუნველყოფილია უამრავი ფუნქცია, რითაც ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დეტალების, ინფორმაციის შეყვანა და მართვა. მაგ: დასწრების აღრიცხვა, ელექტრონული სწავლებისთვის, ინფორმაცია მოსწავლეების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შესახებ, ინფორმაცია სასკოლო აქტივობების, დღის რეჟიმთან ან/და სხვა გადაწყვეტილებების შესახებ. აღნიშნული პლათფორმით მოსწავლეები და მათი მშობლები უმალვე იღებენ ინფორმაციას შეტყობინების სახით. მასწავლებლებს კი ეძლევათ შესაძლებლობა გაუზიარონ თავიანთი სამუშაო კოლეგებს. სკოლა ასევე იყენებს სკოლის ვებგვერდსა და სკოლის ფეისბუქგვერდს. საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს უახლეს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მიიისა და ხედვის, სასწავლო სააღმზრდელო პროცესის, განხორციელებული და მიმდინარე პროექტების, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის სტრუქტურის, შინაგანაწესის და სხვა. სკოლა აგრეთვე აწყობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. შეხვედრები ხორციელდება როგორ ონალინ ასევე პირისპირ. სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებული ინფორმაციის შემდეგ მიღებულ უკუკავშირის მონაცემებს სკოლა ასახავს SWOT ანალიზის ფორმაში,რაც შემდეგ მომავალი სასწავლო წლის დაგეგმაში ეხმარება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. შექმნილია მოსწავლეთა სურვილის და საჭიროებების მიხედვით სასკოლო კლუბები. ხდება მოსწავლეთა გაერთიანება ინტერესების შესაბამისად სასკოლო კლუბებში საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებგვერდი: www.aia-gess.ge
2. ფეისბუქგვერდი.: https://www.facebook.com/britanulespanuriskola
3. სკოლის ელექტრონული ჟურნალი EDU PAGE

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);**

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების სამსახურის დებულება.

- <u>ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი</u>- სკოლის ტერიტორიაზე ყველა შენობაში სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის 3 თანამშრომელი და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი 2 პირი. <u>სკოლამ მიიღო რჩევა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები გადამზადდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანების №65/ნ ,,სკოლის დირექტორის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესის“ შესაბამისად.</u> სკოლაში გათვალისწინებულია მასწავლებელთა მორიგეობაც. ვიზიტის პერიოდში დერეფანში გამოკრული იყო მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. აღსანიშნავია, რომ <u>სკოლის მიერ ახლად შეძენილი შენობა, რომელშიც სკოლის განმარტებით უნდა ისწავლონ საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა არ არის შემოღობილი და მდებარეობს სამანქანო გზის მომიჯნავედ. მდგომარეობას ართულებს ის, რომ სასწავლო პროცესისთვის საჭირო ობიექტები/რესურსები , მაგალითად: სპორტული დარბაზი და მოედანი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მდებარეობს №1 და №2 შენობებში. აღნიშნული შენობები 30/11/2022 , ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების MES 6 22 0001526030 საფუძველზე ავტორიზებულია და მოსწავლეთა ზღვრული</u>

რაოდენობა განსაზღვრულია 750-ით. შესაბამისად აღნიშნული რესურსებით სარგებლობისათვის საგაკვეთილო პროცესის დროს მოსწავლეებს მოუწევთ სამანქანო გზის გადაკვეთა. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ წარმოუდგენია მექანიზმი , თუ როგორ უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმების დაცვით შენობებს შორის მოსწავლეთა ყოველდღიურ გადაადგილებას.

სკოლამ დასკვნის პროექტის პასუხად წარმოადგინა მომსახურების ხელშეკრულება, მომსახურების ხარჯების გადახდის ქვითრები და ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება სკოლის ეზოს შემოღობვა. სკოლამ ასევე წარმოადგინა შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის სკოლის შენობებს შორის მოსწავლეთა ყოველდღიური გადაადგილებისას უსაფრთხოების დაცვის წესი (დამტკიცებული 29.07.2024 წელს სკოლის დირექტორის No2-155 ბრძანებით) . ამავდროულად სკოლამ სკოლის შენობებს შორის მოსწავლეთა ყოველდღიური გადაადგილებისას უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის დირექტორის No1-33 ბრძანებით გამოჰყო პასუხისმგებელი პირი. ხარვეზი აღმოფხვრილია.

- **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა-** დაწესებულებამ წარმოადგინა შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (10.07.2024 წ. ბრძანება N2-149). სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ასევე, დამტკიცებულია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა.
- **სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ-** ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს, სახანძრო არსებული ობიექტის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში, 10.07.2024 წლის ანგარიში №BI-095, რომლის შესაბამისად ,,ქ. თბილისში, მარსელის ქ.#2 ში (ს/კ 01.11.05.029.249) მდებარე გიმნაზიის შენობის კვამლაღმომჩენი,სახანძრო განგაშისა და ევაკუაციის მართვის სისტემები არის მუშა გამართულ მდგომარეობაში და შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებს.
- **უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**– სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, გაცემული 2023 წლის 17 ივლისს, შენობის მდგრადობაზე. დასკვნის თანახმად ,,ქ. თბილისში, მარსელის ქ.#2 ში (ს/კ 01.11.05.029.249) მდებარე ბაგა-ბაღის შენობის ტექნიკური მდგომარეობის, ვიზუალურ ტექნიკური, დეტალურ-ინსტრუმენტალური გამოკვლევის ფუძე საძირკვლებისა და შენობის სივრცითი კონსტრუქციული სისტემის სამოწმებელი ანგარიშის შედეგად დადგინდა რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია".

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც არის კომპანია „ჯეოსეიფთი“-ს წარმომადგენელი, კომპანიასთან სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება. შრომის უსაფრთხოების მენეჯერი აკონტროლებს შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აი -ჯესსის შრომის უსაფრთხოების სისტემას, კონსულტაციას უწევს დირექტორს/მენეჯმენტის სხვა წარმომადგენელს შრომის უსაფრთხოების საკითხებზე და ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა. შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმის შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა დასაქმებული და სხვა პირი, უზრუნველყოფილია უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. დაცულია ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, ექიმი დიპლომით არის პედიატრი, აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე კანონით დადგენილ სპეციალობაში (ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი). სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და ექიმის სამუშაო გეგმა. სკოლის ოთხსართულიან- შენობა N1 განთავსებულია ექიმის კაბინეტი, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, მინი მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები, პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა. სკოლას ახლად დამატებულ ფართზე მოწყობილი ჰქონდა სამედიცინო ოთახი ექთნისთვის. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა ექთანი და არც ვაკანსია არ ჰქონდა გამოცხადებული. <u>**სკოლას მიეცა რჩევა**</u> მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე დაასაქმოს მეორე <u>ექიმი ან ექთანი.</u> სკოლამ წარმოადგინა ექიმის მიერ ქაღალდის მატარებელზე წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. არ იყო წარმოებული სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, დახარჯული მედიკამენტებისა და

სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა. **სკოლას მიეცა რჩევა** სამედიცინო მომსახურების გაწევისა და სააღრიცხვო ფორმების წარმოებისას იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს,,უსაფრთხოების სამსახურის დებულება“. სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება უფლებამოსილი პირის საშუალებით. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება ხორციელდება სკოლის დარაჯის ან სკოლის თანმხლები პირის მიერ. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათავსებს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარს და ევაკუაციის გეგმას. პრევენციული მიზნებისთვის სკოლა შენობაში თვალსაჩინო ადგილას განათავსებს : საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერს – 112, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერის; სკოლის ფსიქოლოგის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერს, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერს. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება უსაფრთხოების ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით.

სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ჩამოთვლილი პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების მეშვეობით. სკოლაში ხორციელდება პედაგოგების მორიგეობაც. შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, თუმცა მნიშვნელოვანია ასევე სკოლის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, პრევენციის მიზნით სკოლის დირექციის ინიციატივით და კლასის დამრიგებლების და მშობლების ჩართულობით იმართება შეხვედრები, რათა გამოიკვეთოს შესაძლო პრობლემები და საჭიროებები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **სკოლას მიეცა რჩევა პასუხისმგებელი პირის მეშვეობით განახორციელოს სკოლაში უცხო პირთა / ვიზიტორთა რეგისტრაცია. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი. მაგ: მედიაციის მარეგულირებელი წესის მიზანია მოსწავლეებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალს შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენცია მათი კანონიერი წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით. ,,ადაპტაციის წესში" გაწერილი აქტივობები დახმარებას უწევს არამარტო პირველ კლასელებს და ახალ მოსწავლეებს, არამედ ეხმარება საერთოდ მოსწავლეებს სასწავლო გარემოში ადაპტირების პროცესში.
ინდივიდუალური თუ გუნდური კონსულტაციები მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნას, მათთვის თვითგამოხატვის საშუალების მიცემას, შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეებისთვის კი სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვას. ფსიქოლოგის სამსახური უზრუნველყოფს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საჭირო მეთოდური მითითებებით, სხვადასხვა სახის აქტივობებით, ტრენინგებითა და ვორქშოპებით. აღნიშნული დასტურდება ფსიქოლოგთა სამოქმედო გეგმით, სემესტრული ანგარიშებით, გასაუბრებით. ექსპერტებთან საუბრისას სკოლის პერსონალი ხაზს უსვამდენენ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს არსებობას სკოლაში.
სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სკოლაში ქმნის ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც დამრიგებელი ასაკის შესაბამისად მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა.
სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლის განმარტებით, სასწავლო წლის განმავლობაში, ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლა ახდენს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში მათი ანონიმურობის დაცვით. გარდა ამისა მოსწავლეთათვის ხორციელდება საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლა უზრუნველყოფს სხვადსხვა სასკოლო აქტივობებით (კონკურსები, სპორტული შეჯიბრებები, პროექტები, საკლასო /სასკოლო თეატრალური წარმოდგენები, როლური თამაშები, კვირეულები, ფსიქოლოგებთან შეხვედრები და სხვა) მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობას. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის, და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანების შესაბამისად და მიზნად ისახავს დასახული ამოცანების ლოკალურ დონეზე გადაწყვეტას.სკოლის მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექიმს. ამ წესის შესაბამისად სკოლა ყოველდღიურად ლაგდება სველი ანტიალერგიული ხსნარების საშუალებების გამოყენებით. ფოიეები, აუდიტორიები, და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების მდგომარეობაში. თვეში ერთხელ ტარდება შენობების გენერალური დასუფთავება, ამისათვის გამოიყენება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები. სკოლის ფანჯრები იწმინდება დაბინძურების შესაბამისად. კვების ბლოკი და სამედიცინო კაბინეტი ექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით. ნიჟარები, უნიტაზები ირეცხება ჯაგრისით სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით მათ ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მიმართულებით არსებული რეკომენდაციებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლა მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: ა) წყლის უსაფრთხოება; ბ) სანიტარული და ჰიგიენური უსაფრთხოება; გ) დასუფთავება და ნარჩენების მართვა;
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 6 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. ყველა სართულზე დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის.
სკოლა თავად უზრუნველყოფს კვების მომსახურებას. აკონტროლებს ბუფეტში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ- მდგომარეობას. კვების ობიექტის სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით სკოლაში მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექიმი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან.
სკოლა მონაცემებს აგროვებს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული მკაფიოდ გასაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის, მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოცულობით. მონაცემები მიზნის ადეკვატურია და პროპორციულად ინახება იმ ვადით რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად. სკოლა ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მათ

შორის: ინფორმაცია მოსწავლის/თანამშრომლების ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა ნასამართლეობის (ზოგადი, სქესობრივ დანაშაულსა და უფლების ჩამორთმევის) შესახებ და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში). მონაცემები მუშავდება სხვადასხვა მოქმედების განხორციელებით, კერძოდ მოსწავლის და დასაქმებულის პირადი საქმის წარმოება, ელექტრონული ჟურნალის აღრიცხვა, ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების აღრიცხვა/მოძიება, სკოლის ტერიტორიაზე ვიდეო/ფოტო გადაღება და ა.შ. სკოლა ამუშავებს და ბრძანების სახით გამოსცემს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია პირისთვის მოსწავლის სტატუსის მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, მობილობასთან, ჩარიცხვასთან და ა. შ.

სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციულ მენეჯერს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დაცვას და ექიმს. აღნიშნულ წესში დეტალურად არის აღწერილი, რომელ სტრუქტურულ ერთეულს რა მონაცემებზე აქვს წვდომის უფლება და რა მიზნით. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში, გარდა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან წინასწარ შეთანხმებული ინფორმაციისა. მოსწავლეთა და პერსონალის პირად ინფორმაციაზე, ესქულის ბაზაზე წვდომა შეზღუდულია და ხელი მიუწვდება მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირს/პირებს.

ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულებასა და სკოლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში, სადაც დარეგულირებულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დადგენილი წესების დარღვევა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობაა. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის მიერ დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით“ დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლა სარეზერვო ასლებს ინახავს გარე ვინჩესტერზე, რომელიც პერიოდულად ახლდება, ასევე სკოლის სერვერზე და google drive-ზე. სკოლას დაყენებული აქვს ფილტრი უსაფრთხო და დაცული საიტებით სარგებლობისათვის. სკოლა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და „edu.page” უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. ელექტრონულ პროგრამაში მოსწავლეები ტვირთავენ შესრულებულ დავალებებს, რომელსაც ხედავს მხოლოდ შესაბამისი საგნის მასწავლებელი, აღნიშნული დავალების შემოწმების და შესაბამისი უკუკავშირის განხორციელების შემდეგ, მასწავლებელმა უნდა წაშალოს გამოგზავნილი დავალება. მოსწავლის დავალების შემოწმების შემდგომ მასწავლებელი წერს კომენტარს უკუკავშირის მიზნით, რომელსაც ხედვას მხოლოდ ადრესატი მოსწავლე. ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის შესახებ მონაცემების გამოყენება ხდება, მხოლოდ სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე,

ინფორმაციის მიწოდებისთვის (დასაქმებულისთვის - სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაციის, მოსწავლისა და მშობლისთვის სასწავლო მიზნებისთვის არსებული ინფორმაციის მიწოდება). მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციულ მენეჯერს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). პირად საქმეებში მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირის მიერ, მაგალითად: მოსწავლის მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანის, მობილობის დროს ან მასწავლებლის მიღების/გათავისუფლების დროს. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მათი მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლას შემუშვებული აქვს უსაფრთხოების წესი (შეთანხმებულია განათლების სამინისტროსთან), რომლის თანახმად სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს უფლებამოსილი პირი და სკოლის დირექცია. სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით; სკოლას ჰყავს ექიმი; სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა; მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. სკოლა ახდენს პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სკოლის მიერ შემუშავებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების“ საფუძველზე, სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის მიერ. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები.
ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სისტემატიურად გაუწიოს მონიტორინგი უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას. მათ შორის მიიღოს ისეთი

ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. იგი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით. გარდა ამისა, შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დასტურდება სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის პერსონალური მონაცემების დაცვა;
- სერვანტესის სახელობის გიმნაზია აიაჯესსის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- სკოლის სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი.;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

30.11.2022 წელს მინიჭებული ავტორიზაციის (დოკუმენტი - MES6220001526030) შესაბამისად შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ შენობა ნაგებობაში (საიდენტიფიკაციო კოდი: 208217375). ავტორიზაციის პირობების შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 750 - ით) . სკოლა სასწავლო პროცესის განხორციელებას გეგმავს დამატებით - მესამე შენობაში (საკადასტრო კოდი: #01.11.05.029.249) , ხოლო მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 130-ით. სკოლას განსაზღვრული აქვს აღნიშნულ შენობაში საგანმანათლებლო საქმიანობა აწარმოოს საბაზო/საშუალო ზოგადსაგანმნათლებლო საფეხურის საგანმნათლებლო პროგრამებით. სკოლის ახალ, III შენობაში (საკადასტრო კოდი: #01.11.05.029.29) 2024-2025 სასწავლო წლისათვის , სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად განთავსდება X – XII კლასები. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან შენობა-ნაგებობა შეფასებულია, როგორც მშენებარე. აღნიშნული შენობაში არის: 10 საკლასო ოთახი, ექთნის კაბინეტი, სამზარეულო სივრცე, საკონფერენციო სივრცე. სველი წერტილები განთავსებულია შენობის ორივე სართულზე. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. ოთახებში განთავსებულია მერხები (მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული), სასკოლო დაფები, მასწავლებლის მაგიდა, მოსწავლეთათვის განკუთვნილი კარადები (მოსწავლეთა სასწავლო ნივთების შესანახად.) შენობაში განთავსებულია აგრეთვე პანელური ტელევიზორი, 3 პროექტორი, 23 ლეპტოპი. სკოლის მესამე შენობაში (საკადასტრო კოდი: #01.11.05.029.249) არის საგანმნათლებლო პროცესის

უსაფრთხოდ და შეუფერხებლად წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: არის უწყვეტი ელექტროენერგია, სველი წერტილები მოწყობილია სანიტარული ნორმების სრული დაცვით, წყალმომარაგებისა და წყალარიდების სისტემებით, სანტექნიკური ხელსაწყოებით, კაფელისა და მეტლახის საფარით. ბუნებრივი განათებისათვის საკლასო ოთახებს აქვს დიდი ფანჯრები. გათბობის სისტემები დამონტაჟებულია რადიატორების გამოყენებით. გარდა ამისა ოთახებში დამონტაჟებულია გათბობა - გაგრილების კონდენციონერები.

სკოლის მფლობელობაში არსებულ №1და №2 შენობებში განთავსებულია 45 საკლასო ოთახი, მათ შორის 6 განაყოფებისთვის. სკოლაში არის ასევე: 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ბიბლიოთეკის და ისტ -ის ოთახი, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 სპორტული დარბაზი, 1 საკონფერენციო ოთახი, 1 ბუფეტი, 1 სასადილო დარბაზი, 1 რესურს ოთახი, 1 ბუღალტრის კაბინეტი, 1 ხარისხის მენეჯერის კაბინეტი.

საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. ოთახებში განთავსებულია არსებულ მოსწავლეთა რაოდენობის ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხები, სასკოლო დაფები, მასწავლებლის მაგიდა, კედელზე განთავსებულია დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებები, მოსწავლეთა ნაშრომები, დერეფნებში განთავსებულია მოსწავლეთათვის განკუთვნილი ინდივიდუალური კარადები სხვადასხვა საკლასო ოთახში განთავსებულია 10 ტელევიზორი, 7 პროექტორი, 2 ცალი ჭკვიანი დაფა (Smart Board). ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში შესაძლებელია განთავსდეს 880 მოსწავლის მაგიდა და სკამი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას საერთო ჯამში მფლობელობაში არსებული მერხი და სკამი სრულად შეესაბამება სკოლის მიერ მოსწავლეთა მოთხოვნილ რაოდენობას. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში განსაზღვრულია სხვადასხვა მატერიალური რესურსით (ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზი და ა.შ.) სკოლას აქვს ღია მოედანი და კეთილმოწყობილი ეზო. სკოლის №2 შენობაში განთავსებულია სპორტული დარბაზი(300 კვ.მ), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით: კალათბურთის ფარი, 2 ბაგირი, 2 შვედური კედელი. დარბაზს ახლავს გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისთვის. დარბაზის გვერდით განთავსებულია სივრცე (40 კვ.მ), რომელიც ასევე გამოიყენება სპორტული აქტივობებისთვის. სკოლაში 1 საბუნებისმეტყველო

კაბინეტია, რომელშიც განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. ლაბორატორიაში გამოკრულია განრიგი, რის მიხედვითაც მასწავლებლებს და მოსწავლეებს შეუძლიათ მუშაობა. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოდ მუშაობის წესები. მასწავლებლების მიერ შენახულია მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტის ნიმუშები. კაბინეტში დამონტაჟებულია პროექტორი, და განთავსებულია მაგიდა, რომელშიც ჩამონტაჟებულია ეკრანები ვირტუალური ლაბორატორიებისთვის. სკოლამ წარმოადგინა მიღება - ჩაბარების აქტი, რითაც დასტურდება, რომ სკოლამ ვირტუალური ლაბორატორიის სრული კომპლექტი, ფიზიკისა და IT ტექნოლოგიების მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგი და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიების გზამკვლევი, შეიძინა შპს „მეცნიერების, განათლებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების აკადემიისგან“. რეაქტივები შენახულია დახურულ კარადებში, საკეტით. ლაბორატორიას აქვს გამწოვი კარადა, ონკანი. სამუშაო მაგიდა დაფარულია მჟავაგამძლე საფარით. ლაბორატორიაში არის სამუშაო ჭურჭელი და ყველა პირობას აკმყოფილებს უსაფრთხო, სრულყოფილი მუშაობისთვის. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;**

სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე და მასში დაცულია 4000-მდე წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ასევე არაფორმალური განათლების მისაღებად განკუთვნილი საკითხავი და შემეცნებითი ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ელექტრონულად არის აღნუსხული. სკოლას აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა - “Open Biblio”. ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, შესასვლელში გამოკრულია მუშაობის საათები 14:00 – 17:00. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებულია 21 კომპიუტერი, ამავე სივრცეში ტარდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გაკვეთილები. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულაში არ ირიცხება სსსმ/შშმ მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს ჩამოყალიბებული ინკლუზიური განათლების სისტემური ხედვა და გამოთქვამს მზაობას, უზრუნველყოს სსსმ მოსწავლე/მოსწავლეების ჩართვა ზოგადსაგანმნათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. რაც შეეხება სკოლის მესამე შენობის (საკადასტრო კოდი: #01.11.05.029.249) ინფრასტრუქტურას, ის ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. შესასვლელი სივრცე და პირველ სართულზე გადასაადგილებელი დერეფანი ადაპტირებულია, მეორე სართულზე გადასაადგილებლასდ სკოლას შეძენილი აქვს მოძრავი

პანდუსები. ადაპტირებულია პირველ სართულზე მდებარე სველი წერტილი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლის საკონფერენციო დარბაზი გამოიყენება სამუშაო შეხვედრებითვის, საზეიმო ღონისძიებებისთვის, ინტელექტუალური ვიქტორინების, პროექტების, პრეზენტაციების, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრების ჩასატარებლად. სპორტულ დარბაზში ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, მხიარული სტარტები და სხვა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით, მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ლიტერატურას, მოიძიონ ინფორმაცია, მოაწყონ საგანმანათლებლო ღონისძიებები. სკოლას აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია და დამატებით მიმდინარეობს კეთილმოწყობა. სკოლის დერეფნებში არის თავისუფალი სივრცე კომფორტული დასაჯდომებით, რომელიც მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთგვარ შეკრების ადგილია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- ამონაწერები უძრავი ქონების რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის სქემა
- რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტები;
- დომენის/ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;
- წიგნადი ფონდის შესყიდვის დოკუმენტები;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
- გრიფირებული/წიგნების სახელმძღვანელოების შესყიდვის დოკუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

სკოლა აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მათ შორის: ინტერნეტქსელით აღჭურვილი კლასები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით IT კაბინეტი, კომპიუტერებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა,საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. კლასებში დამონტაჟებულია პროექტორები, დამონტაჟებულია ჭკვიანი დაფები (SMARTBOARD-ები); სკოლა საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით , საჭიროებისამებრ , გამოყოფს პორტატულ კომპიუტერებს, რომელთა ტექნიკურ მომსახურებას და განახლებას უზრუნველყოფს სკოლის შესაბამისი სამსახური; დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის.

სკოლა სასწავლო წლის დაწყებამდე ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნას, რომლის საფუძველზეც ხდება კომპიუტერული კლასების, ლაბორატორიების თუ სხვა სივრცეების უზრუნველყოფა. სერვანტესის სახელობის გიმნაზია თავის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ახორციელებს შემდეგი სახის ინფორმაციული სისტემების გამოყენებას: სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი (www.aia-gess.ge), სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (edu.page) პლატფორმა. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრიონული კატალოგი, სკოლის ელექტრონული ფოსტა (aia.gess11@gmail.com; info@aia-gess.ge) ; ელექტრონული ტესტირების სისტემები; ვიდეო მონიტორინგის სისტემა; საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა; ინფორმაციული უსაფრთხოება. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესს გააჩნია ოფიციალური ორ ენოვანი (ქართული და ინგლისური) ვებ-გვერდი, რომლის საშუალებით ნებისმიერი დაინტერესებული პირი იღებს საჯარო ინფორმაციას; ინგლისურ ენაზე ინფორმაციის დროულად თარგმნას უზრუნველყოფს საინფორმაციო სამსახური. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის მკაფიო, ობიექტური და სრული; ინფორმაციის დროულ განთავსება/განახლებაზე პასუხიმგებელია პიარმენეჯერი, რომელიც ინფორმაციის დროულად განთავსება/განახლების მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან;წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლას შემუშავებული ჰქონდა კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. რომლის თანახმად სკოლის პერსონალს/მოსწავლეს შეუძლია დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალა ინტერნეტ სივრციდან; უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებ-გვერდით; იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე და სხვ. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება აქვთ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით, როგორც საგაკვეთილო, ასევე არასაგაკვეთილო პროცესში. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი edu.page, რომელიც ითვალისწინებს თითოეული კლასისათვის ისეთი ელემენტების განსაზღვრას, როგორიცაა: საგაკვეთილო ცხრილი, საათები, შეფასების სისტემა, დავალებების ატვირთვა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვ. ელემენტები. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში ფუნქციონირებს ელ. ფოსტის სერვისები: სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს კორპორატიული მეილი. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში სკოლის სასწავლო გეგმის შესაბამისად ფუნქციონირებს ელექტრონული ტესტირების სისტემა. (ტესტირების დროს edu.page პლატფორმის გარდა

კომპიუტერში არ იხსნება სხვა პროგრამები.) სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით სკოლაში დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა -,,ორისი", რომელიც უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის ფინანსურ აღრიცხვასა და მონიტორინგს. სისტემა ონლაინ რეჟიმში დაკავშირებულია ბანკთან, რაც განაპირობებს ტრანზაქციების მომენტალურ ასახვას. სისტემის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის ბუღალტერი , ხოლო ტექნიკურ მხარდაჭერას IT სამსახური. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში უსაფრთხოების მიზნით შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე ხორციელდება 24 საათიანი ვიდეო მონიტორინგი ხმის ჩაწერის გარეშე; ინფორმაცია ინახება 10 დღიდან 1 თვის განმავლობაში. აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა აქვს დირექტორს, დირექტორთა საბჭოს წევრებს. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- ❖ შესყიდვის დოკუმენტაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში შემუშავებულია , საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით „საქმისწარმოების ერთიანი წესი", რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის.

სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების წესის თანახმად სკოლაში დოკუმენტაციის აღრიცხვა, სარეგისტრაციო და რიგითი ნომრის მინიჭება იწყება ყოველი წლის 1 სექტემბერს და სრულდება მომავალი წლის 31 აგვისტოს.

ვიზიტის პერიოდში, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით სკოლაში ხორციელდებოდა მატერიალური სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება. ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები; შემოსული და გასული კორესპოდენციის სარეგისტრაციო ჟურნალები; ცნობების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილი, აკინძული და დამოწმებული იყო სკოლის ბეჭდითა და ხელმოწერით. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. იმის გათვალისწინებით , რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია ძირითადად არ მოიცავდა სავალდებულო რეკვიზიტებს, (მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა, მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის/ების გვარი, სახელი და ხელმოწერა) , **სკოლამ მიიღო რჩევა** საქმისწარმოებისას გაითვალისწინოს საქმისწარმოების ერთიანი წესის მოთხოვნები, კერძოდ სკოლის მიერ გამოცემული დოკუმენტაციაზე იკითხებოდეს: მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა, მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის/ების გვარი, სახელი და ხელმოწერა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესს აქვს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool-ს სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა: სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ელექტრონული ფოსტა. საქმისწარმოება სკოლაში არ მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემაში.
სკოლამ დასკვნის პროექტის პასუხად წარმოადგინა „სქულ მენეჯმენტ სისტემსი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება ,რის საფუძველზეც სისტემის ლიცენზია დროებით სარგებლობაში გადაეცა სკოლას, შიდა სასკოლო დოკუმენტების ელექტრონულად საწარმოებლად; სკოლამ წარმოადგინა საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული სამუშაოს მტკიცებულება.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დაწესებულებას აქვს საკუთარი პროფილი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool), სადაც ასახავს ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. Eschool-ში სრულყოფილად

არის ასახული მონაცემები სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის მთლიანი პერსონალის შესახებ, მასწავლებელთა პირადი პროფილი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **სკოლამ მიიღო რჩევა** მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool)-ის საინფორმაციო ბარათში შეიტანოს საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა დაზუსტებული რაოდენობრივი მონაცემები, ასევე განაახლოს სკოლის შენობების რაოდენობები, მისამართები და ატვირთოს შენობების ნახაზები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსი აქტიურად თანამშრომლობს გლდანი ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. მაგალითად: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად (მაგ: საათობრივი ბადის ცვლილების შესახებ, სახელმძღვანელოების შეთანხმების შესახებ და სხვ.), სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი (ადმინისტრაციული მენეჯერი), რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებას და გაცემას. სკოლა (ფინანსური მენეჯერი) რესურსცენტრს ყოველწლიურად წარუდგენს ინფორმაციას მიღებული ვაუჩერული დაფინანსების დახარჯვასთან დაკავშირებით. სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე წარსადგენად. ასევე, ყოველთვიურად წარადგენს შემოსავლების სამსახურში შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ❖ სკოლის საქმისწარმოების წესი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომლითაც განისაზღვრება ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვის პრინციპები, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი და სხვ. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.

სკოლას აქვს აქვს ვებ-გვერდი www.aia-gess.ge ასევე, სოციალური ქსელის გვერდი (FACEBOOK), სადაც განთავსებულია მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (საერთაშორისო და სასკოლო / სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების და

სხვა) შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული საკონტაქტო ინფორმაცია იძლევა დაწესებულებასთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. მათ შორის, უკუკავშირის გაკეთების საშუალებას. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის, გარდა ვებგვერდის და სოციალური ქსელისა, სკოლა იყენებს: მოკლეტექსტურ შეტყობინენებს; სატელეფონო ზარებს; ელექტრონულ ჟურნალს; სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრებს (მაგ. ღია კარის დღე, მშობელთა კრებები და ა.შ), სხვადასხვა მიზნობრივ კითხვარებს. ვებგვერდი ინფორმატიულია, მასზე წარმოდგენილი ინფორმაცია - სკოლის საკანონმდებლო ბაზა, განხორციელებული აქტივობები და სხვ. სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვაზე პასუხისმგებელია პიარ მენეჯერი და IT მენეჯერი. პიარ მენეჯერი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამზადებს ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ვებგვერდზე განსათავსებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნებისათვის, სკოლა პერიოდულად ახორციელებს სკოლის მიღწევებისა და საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების/ტექსტების/ფოტო და ვიზუალური მასალის მომზადებას და გავრცელებას, სკოლის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ტრადიციული სასკოლო აქტივობების მოწყობას. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლის სოციალური ქსელის გვერდ (https://www.facebook.com/britanulespanuriskola) და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის“ შესაბამისად, სკოლის ვებგვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე და admin-ის სახელით გამოხატულ პოზიციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას. პიარ მენეჯერი, რომელიც ამავდროულად ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირია, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამზადებს ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ვებგვერდზე განსათავსებლად. ამასთან, თავადვე ტვირთავს აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის საკომუნიკაციო პლატფორმებზე. ამავე წესით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრინციპები, რომლის თანახმად, დაწესებულება არ უნდა ავრცელებდეს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს მისი გადამოწმება/დადასტურება. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც დასტურდებოდა სკოლის აქტივობები და მიღწევები. აქედან გამომდინარე, სკოლა

უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსი მუდმივად მზადაა მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი (კომუნიკაციის სტრატეგიები). წესით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ვიზიტის ფარგლებში სასკოლო საზოგადოებასთან ექსპერტების გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით ინტერვენციების დაგეგმვა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები ვერ გავეცანით ჩატარებული კვლევების/გამოკითხვების ანალიზებს, რაც საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა შედეგობრივი კავშირები. **<u>სკოლამ მიიღო რჩევა</u>** <u>აწარმოოს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვების/ კვლევების შედეგების დოკუმენტირება.</u> **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი: www.aia-gess.ge , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება ქართულ ენაზე. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ-გვერდი www.aia-gess.ge ინფორმატულია და მოიცავს ინფორმაციას, რომელთა გაცნობითაც შესაძლებელია სკოლაზე წარმოდგენის შექმნა და შიდა მარეგულირებელი წესების გაცნობა. კერძოდ: მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამის სახელწოდება, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; გასაჩივრების მექანიზმები; საკონტაქტო ინფორმაცია; შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები :კალენდარი, დღის რეჟიმი, შეფასების ნაწილი და ა.შ. დამატებითი მომსახურებები, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს; სიახლეები; დამხმარე ლინკები და სხვა ინფორმაცია . ვიზიტის პერიოდში <u>სკოლას ვებ გვერდზე არ აქვს განთავსებული ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.</u>

<u>სკოლამ დასკვნის პროექტის პასუხად წარმოადგინა ვებ გვერდზე განთავსებული ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი - www.aia-gess.ge;
- სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/britanulespanuriskola

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

<u>შეესაბამება</u>

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის ძირითად შემოსავალს სკოლის ფინანსური პოლიტიკის მიმართულებით პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის ფინანსურ მენეჯერს. მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის: საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზება; საბუთების დროული გაფორმება; სკოლის ფულადი სახსრების მოძრაობის და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა; სკოლის თანამშრომელთა ხელფასების დროული დარიცხვა და გაცემა. ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებთან წარმოშობილი ანგარიშსწორებათა დროული აღრიცხვა; ბუღალტრული ანგარიშების შედგენა და დაწესებულ ვადებში საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებში წარდგენა; ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვა და რეგისტრირება, სკოლამ წარმოადგინა ბიუჯეტი. ძირითადი შემოსავალი არის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის ერთწლიანი გეგმისა და ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება თავის ფინანსებს მიმართავს სამოქმედო გეგმის შესასრულებლად. სკოლის ფინანსური მენეჯერი ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებსა და ხარჯებს. სკოლის ბიუჯეტით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება, რაც გულისხმობს საგანამანათლებლო და მატერიალური რესურსებისთვის საჭირო თანხებს. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტული

მიმართულებაა პროფესიული განვითარების, პერსონალის და ასევე მოსწავლეების წახალისების ხელშეწყობა. ამასთან ერთად სკოლის ბიუჯეტი მოიცავს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო სხვა ხარჯებსაც. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რესურსი ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო, ხოლო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური/ტექნიკური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლის ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ფინანსური მენეჯერი. სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წარსადგენად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ❖ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ❖ სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1- სკოლის შესაბამისობის გეგმა

თარიღი : **02.08.2024**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური

ექსპერტთა ჯგუფის წევრი: თინათინ ალავიძე